სამოგზაურო კითხვარი - შთაბეჭდილებების დაგროვებისთვის

კითხვები გამგზავრებამდე

1. **რას ველოდები ყველაზე მეტად ამ მოგზაურობისგან?**
2. **რა ვიცი ამ ქვეყნის შესახებ?**

ნაწილი I - ფაქტები და პირველი შთაბეჭდილებები

- **ქვეყნის/ქალაქის იდენტობა:**
  - როგორია შენი მასპინძელი ქვეყნის/ქალაქის 3 ყველაზე ცნობილი ღირსშესანიშნაობა ან სიმბოლო?
  - დაასახელე 3 განსხვავებული კერძი, რომელიც დააგემოვნე და რომლის შესახებაც საქართველოში არ გსმენია.
- **ყოველდღიური ცხოვრება და ტრანსპორტი:**
  - რომელია ამ ქვეყანაში საზოგადოებრივი ტრანსპორტის ყველაზე პოპულარული საშუალება? აღწერე, რით განსხვავდება ის ქართული რეალობისგან (თუ რამე განსხვავებას აღმოაჩენ).
- **სკოლა/განათლება (თუ შესაძლებელია დაკვირვება):**
  - მოახერხე თუ არა ადგილობრივი სკოლის ან საგანმანათლებლო სივრცის ნახვა/გაცნობა?
  - რა იყო პირველი, განსხვავება რაც შენიშნე?

ნაწილი II - გავიცნოთ ახლოს...

- **კულტურული ეტიკეტი და ტრადიციები:**
  - აღწერე ერთი წესი ან მანერა (მაგალითად, მისალმების, სუფრის ან სტუმართან ურთიერთობის), რომელიც საქართველოში მიღებული ქცევისგან განსხვავდება.
- **გარემო და ეკოლოგია:**
  - როგორ ზრუნავენ ადგილობრივი მოსახლეობა და მთავრობა გარემოზე (მაგალითად, ნაგვის დახარისხება, პარკები, ველოსიპედის ბილიკები)?
  - რას გააკეთებდი საქართველოში მსგავსი სიტუაციის შესაქმნელად?
- **რამ დამაფიქრა მოგზაურობის დროს?**
  - აღწერე ერთი მომენტი ან სიტუაცია, რომელმაც დაგაფიქრა ცხოვრების, კულტურის ან შენი მომავლის შესახებ.
  - როგორ შევცვალა ამ გამოცდილებამ ჩემი წარმოდგენა ამ ქვეყნის შესახებ?

- **რამ აღგაფრთოვანა ყველაზე მეტად?**
    - რა იყო ის ერთი რამ (შენობა, ბუნება, ადამიანი, აქტივობა), რამაც ყველაზე ძლიერი და დადებითი ემოცია გამოიწვია?
- **რას გადმოიტანდი/რის ხილვას ისურვებდი საკუთარ ქვეყანაში?**
    - დაასახელე ერთი **სისტემა** (მაგალითად, საზოგადოებრივი მომსახურება, ქალაქის დაგეგმარება, განათლების მიდგომა), რომლის დანერგვასაც საქართველოში ისურვებდი. რატომ?
- **მცდარი წარმოდგენა:**
    - გქონდა თუ არა რაიმე წინასწარი წარმოდგენა ამ ქვეყანაზე გამგზავრებამდე?
    - რა აღმოჩნდა განსხვავებული სინამდვილეში?
- **რატომ ურჩევდი ამ ქვეყანაში თანაკლასელს/თანატოლს მოგზაურობას?**
    - შეაჯამე შენი გამოცდილება და დაასახელე 3 მთავარი მიზეზი, თუ რატომ უნდა ესტუმროს შენი თანატოლი ამ ქვეყანას/ქალაქს.

შემოქმედებითი აქტივობა დაბრუნების შემდეგ

- კითხვარზე დაყრდნობით მოამზადე მოკლე პრეზენტაცია (5-7 წუთი) კითხვარზე დაყრდნობით და აჩვენე 3 მსგავსება და 3 განსხვავება მასპინძელ ქვეყანასა და საქართველოს შორის;
- შექმენი მოკლე ვიდეო ან ფოტო-ამბავი/კოლაჟი, სადაც აღწერ ერთი ჩვეულებრივი დღის ქრონოლოგიას მასპინძელ ქვეყანაში, აქცენტი გააკეთე იმ დეტალებზე, რაც ქართული ყოველდღიურობისგან განსხვავდება.